მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში

ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო
საქართველო ***(LDA Georgia)***

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში "ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ,,გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის" მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის ,,თანხმობა'' იურისტი (IDP Women Association ''Consent'').

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია…….....4

1.1 კვლევის საფუძველი 4

1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა 4-5

1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება 5

2. შესავალი 6-7

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....8

3.1. ეკონომიკური განვითარება.....8-10

3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....10-11

3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....11-12

3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა 12-13

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....13 -14

4. რეკომენდაციები.....15

5. საბიუჯეტო პროგრამა.....16 -17

6. დანართი 18

სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....18-19

1.კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში ვანის მუნიციპალიტეტში, 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალით დანახული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე, წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე, შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები, მუნიციპალიტეტის 2020-2023 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, მერის 2020 წ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და პრიორიტეტების დოკუმენტი.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

ვანის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობიდან** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- რესურსცენტრის წარმომადგეენელი;
- ვანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;
- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, მარტოხელა მშობელი, დევნილი);
- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა (15) რესპოდენტმა, რომელთა შორის თორმეტი (12) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 23 წლიდან 70 წლამდე მერყეობდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობას.

1.3 ჯგუფური დიკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები ვანის მუნიციპალიტეტში;
- Covid -19- ით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2.შესავალი(ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას , მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკითხები, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები , განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები ,სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid -19 -სგან გამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული, გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში ნაკლებად აქტიურნი არიან, შესაბამისად მნიშვნელოვანია მოხდეს ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ღონისძიებების შეთავაზება, რათა მოხდეს მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მეტად უზრუნველყოფა, დაინტერესება ცხოვრების ჯანსაღი წესით, სოფლის მეურნეობით და სხვა.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, ვანის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, მცირედით დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც შეუმცირდათ შემოსავალი , მოწყვლადი ოჯახები კი უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. აწვდიდა სასურსათო კალათებს, შეზღუდვების პერიოდში ეხმარებოდა გადაადგილებაში. ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელწმიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა. [1] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისების ახალ საჭიროებებზე მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.

[1] სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ვებ გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

3.განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: ვანის მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური განვითარება პრიორიტეტს წარმოადგენს. ტურიზმის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ადილობრივი თვითმმართველობისათვის ძირითადი ამოცანებია. ვანის მუნიციპალიტეტში განვითარების პოტენციალით გამოირჩევა სოფლის მეურნეობის , ვაჭრობის, ტურიზმისა და მომსახურეობის სფეროები.

სოფლის მეურნეობა : ვანში მოსახლეობა ძირითადად მისდევს მევენახეობა/მეღვინეობას. სოფლებში მრავლადაა წარმოდგენილი საოჯახო მარნები. ვითარდება სასათბურე მეურნეობა, სადაც ძირითადად მწვანილი მოჰყავთ. ასევე, მოსახლეობას მოჰყავს დაფნა, რომელსაც ადგილზე აბარებენ.

ვანში საკმაოდ დიდი რაოდენობით ხილი მოდის, თუმცა ადგილზე არ არის ხილის გადამამუშავებელი ქარხანა, მხოლოდ, მცირე რაოდენობით ხდება ხილის მიღება მიმღებ პუნქტებში, რაც მოსახლეობისთვის მომგებიანი არ არის და სამწუხაროდ ხილის უფრო მეტი რაოდენობის ლპობა/განადგურება ხდება.

ადრე, ვანში განვითარებული იყო მეჩაიეობა, თუმცა დღეისათვის ჩაის პლანტაციები თითქმის არ არსებობს. შემორჩენილი მცირე ნაწილი გაველურებულია. არ არსებობს ჩაის გადამუშავებისთვის აუცილებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურაც.

მოსახლეობის ნაწილი მისდევს მეფუტკრეობას, თუმცა ბოლო პერიოდში შესამჩნევი გახდა ფუტკრის რაოდენობის შემცირება. აღინიშნა, რომ გავრცელებულია ფუტკრის დაავადებებიც, თუმცა ადგილზე ხელმიუწვდომელია კვალიფიციური ვეტექიმის კონსულტაციები, რის გამოც ვერ ხერხდება დაავადების დროული და სწორი მართვა. ხაზი გაესვა მეფუტკრეთა ცნობიერების ამაღლებას ეკოლოგიურად სუფთა თაფლის წარმოების და ფუტკრის მოვლის საკითხებთან დაკავშირებით. მეფუტკრეობის სფეროში გამოწვევად დასახელდა ასევე თაფლის ხარისხის განმსაზღვრელი სერთიფიცირების პროცესის სიძვირეც. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, მეფუტკრეობის მიმართულებით დაფუძნებულია ერთი კოოპერატივი, თუმცა ამ მიმართულებით მოქალაქეთა ცნობიერება ნაკლებია, *„მათ არ იციან რა სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს მათთვის კოოპერატივის შექმნა ან რა პირობებით იქმნება მსგავსი გაერთიანება”,* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მოსაზრებით , ვანის მუნიციპალიტეტს აქვს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების კარგი პოტენციალი, თუმცა მუნიციპალიტეტში არ არის შესაბამისი ხელშემწყობი გარემოებები. პირველ რიგში შესამჩნევია კვალიფიციური კადრების (აგრონომების) დეფიციტი. მოსახლეობის ცნობიერება დაბალია ახალი ჯიშების და ახალი ტექნოლოგიების დარგში. ფერმერები არ იყენებენ ახალ ჰიბრიდულ ჯიშებს და სასუქებს. მოსახლეობას არ მიუწვდება ხელი ტექნოლოგიურ სიახლეებთან, სიძვირისა და ცნობიერების ნაკლებობის გამო. ადგილზე ნაკლებადაა ხელმისაწვდომი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა და ასევე შესაბამისი კადრი (ტრაქტორისტი, შემდუღებელი და სხვა). მართალია მოქალაქეებისთვის მიწის რესურსი ხელმისაწვდომია, თუმცა მიწის დამუშავებას ნაკლებად ახდენენ, რადგან მიაჩნიათ, რომ მიწაზე მუშაობა ბევრ შრომას და რესურსებს მოითხოვს, მიღებული შემოსავალი კი ნაკლებია. დაფიქსირდა შემთხვევები,

როცა მცირე ფერმერებმა არამიზნობრივად გამოიყენეს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დიზელის ვაუჩერი, კერძოდ კი ფინანსურ სახსრებში მოახდინეს მათი გადაცვლა.

სოფლის მეურნეობის სფეროების მიმართ შესამჩნევია ახალგაზრდების ნაკლები ინტერესი. დისკუსიის შედეგად აღინიშნა, რომ ადგილზე სადემონსტრაციო ნაკვეთის არსებობა ხელს შეუწყობდა ახალგაზრდებში სკოლის ასაკიდანვე სოფლის მეურნეობის სფეროთი დაინტერესებას.

ბოლო წლებში ვანში, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში დაიწყო ისეთი კულტურების გაშენება , როგორიცაა მოცვი და თხილი. გარდა აღნიშნული პროგრამისა, მოსახლეობას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ასევე „აწარმოე საქართველოს“ პროგრამებში. ვანში მცხოვრებ დევნილებს საარსებო წყაროების შექმნის პროგრამებით დახმარებას უწევენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე დევნილთა , დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სსიპ.

დისკუსიებისას რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ვანში დონორი ორგანიზაციები იშვიათად შემოდიან, რის გამოც მოსახლეობისთვის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები ნაკლებად ხელმისაწვდომია.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო უწყებები მეტად უნდა უწყობდნენ ხელს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. *„სარწყავი არხის მოწესრიგება მინდოდა და ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში იმდენი მატარეს რომ ის ფული რაც თანადაფინანსებისთვის მქონდა იმ გზაში დავხარჯე და ბოლოს არაფერი არ გამოვიდა“* ,აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ. გამოიკვეთა პროგრამების განმხორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან უკუკავშირის აუცილებლობა იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებმა დაფინანსება ვერ მოიპოვეს. ხაზი გაესვა მოქალაქეთა ბიზნეს და კომპიუტერული უნარების განვითარების *აუცილებლობასაც. „მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება, ამ კუთხით უფრო აქტიურად უნდა ტარდებოდეს ტრენინგები და შეხვედრები ”,* აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

ადგილობრივი ბიზნესი და ბაზარზე წვდომა: როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, ვანი სხვა მეზობელ მუნიციპალიტეტებთან შედარებით არ არის მეწარმეობის კუთხით დიდად განვითარებული, ნაკლებია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა რაოდენობა.

ადგილზე არ არის განვითარებული სამაცივრე მეურნეობა, არ არის წარმოდგენილი რძის ან ხილის ჩამბარებელი და გადამამუშავებელი პუნქტები.

ნაკლებად ხდება არსებული ფერმერების და ადგილობრივი სუბიექტების მხარდაჭერა , რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს გაფართოება და განვითარება, რაც თავისთავად დადებითად აისახებოდა ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზეც. *,,რამდენი ხანია ვცდილობ ელექტრო ენერგიის შეყვანას ჩემს კუთვნილ მიწის ნაკვეთში, სადაც აგრო ტურიზმის განვითარებას ვგეგმავ, მაგრამ დღემდე ვერაფერს მივაღწიე ”,* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

ადგილზე არის მცირე ზომის სამკერვალო, სადაც რამდენიმე ადამიანია დასაქმებული. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თუ მოხდებოდა სამკერვალოს გაფართოება ან სხვა სამკერვალოს, ან გადამამუშავებელი საწარმოების გახსნა, მაშინ ხელი შეეწყობოდა მოქალაქეების დასაქმებაც.

პროდუქცია რომელიც იწარმოება ვანში, (რძის პროდუქტები, ღვინო, თაფლი), მათი რეალიზაცია ძირითადად ხდება ადგილობრივ ბაზარზე, მცირე რაოდენობით გადის სხვა მუნიციპალიტეტებში. იმ მეწარმეებს რომლებიც ფლობენ სათბურებს ან მისდევენ სოფლის მეურნეობას , უჭირთ პროდუქტის რეალიზება. ხშირად მათი მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის დაწყება ბაზრის მოკვლევის გარეშე ხდება, რაც შემდეგში სხვადასხვა გამოწვევების წინაშე აყენებს.

ტურიზმი და რეკრეაცია: ვანის მუნიციპალიტეტში ტურიზმი აქტიურად ვითარდებოდა ბოლო წლების მანძილზე. ტურისტული ნაკადის მატების გამო მუნიციპალიტეტი ცდილობდა მეტი ყურადღება დაეთმო ტურისტული ადგილების მოწესრიგებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით არაერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული, დღემდე ვანში ინფრასტრუქტურა , ტურისტების მოსაზიდად ჯერ კიდევ არ არის განვითარებული საკმარისად. აუცილებელია საზოგადოებრივი საპირფარეშოების, მისასვლელი ბილიკების, ნაგვის ურნების, სასმელი წყლის მოწესრიგება ტურისტულ ადგილებში.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, ვანში არ არის წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობი ადგილები. შესამჩნევია კვალიფიციური კადრების დეფიციტი ტურიზმთან და სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა სფეროში. ადგილზე არსებობს რამდენიმე საოჯახო სასტუმრო, თუმცა ნაკლებად ხორციელდება ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პროგრამები.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით ვანის მუნიციპალიტეტში სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა. ბევრ ოჯახს უჭირს ეკონომიკურად, არაერთი ოჯახისთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო სახელმწიფოსგან მიღებული დახმარებაა. მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში იმდენად მაღალია ინდეფერენტული დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ , რომ აღარ აქვთ სურვილი იყვნენ უფრო აქტიურები, მაქსიმალურად მიიღონ ინფორმაცია ისეთი პროგრამების შესახებ, როგორიცაა მათი პროფესიული განვითარება, ან საარსებო წყაროების შექმნა.

„მოსახლეობას ეკონომიკურად ძალიან უჭირს“, აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას. პანდემიის შედეგად შესამჩნევია სოციალურად დაუცველი ოჯახების მატება. შობადობის წასახალისებლად და დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა ახალშობილებზე. სოციალური დახმარების დაკარგვის შიშით , რომელიც ოჯახებისთვის სტაბილურ შემოსავალად ითვლება, მოსახლეობა უარს აცხადებს მწირ დასაქმების შესაძლებლობებზეც.

შრომის ბაზარი, უმუშევრობა და მიგრაცია: დისკუსიის მონაწილეთა აზრით , პანდემიის შედეგად ვანში არაერთმა მოქალაქემ დაკარგა სამუშაო და შეუმცირდა შემოსავალი. თუმცა, უმუშევრობა გამოწვევას პანდემიამდეც წარმოადგენდა. მოსახლეობა, რომელიც ადგილზე ვერ საქმდება ცდილობს გაემგზავროს საზღვარგარეთ. შესაბამისად, მაღალია მიგრაციის დონე. ადგილზე არ ხორციელდება არანაირი

პროგრამები მიგრაციის შესამცირებლად. ძირითადად ემიგრაციაში ქალები და ახალგაზრდები მიდიან. დედების გარეშე დარჩენილი ბავშვების განვითარების საკითხი კი ცალკე გამოწვევად დასახელდა.

„ახალგაზრდებს არ აქვთ ადგილზე განვითარების შესაძლებლობები, ამიტომ რთულია მათი ადგილზე დამაგრება", აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტითა და სახელმწიფო თუ საერთაშორისო ფონდების დახმარებით ხორციელდება.

მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მოწესრიგებულია, თუმცა მოსაწესრიგებელია შიდა საუბნო გზები. ეტაპობრივად წესრიგდება ქალაქსა და სოფლებში გარე განათება.

სოფლებში ხელმისაწვდომია ნაგვის ურნები, გარკვეული პერიოდულობით ხდება ნაგვის გატანა, თუმცა მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან არის შემთხვევები, როცა ხევების, მდინარეების დაბინძურება ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. მოსახლეობას არ ესმის რატომ არ შეიძლება დაწვან ნარჩენები. რა ზიანის მომტანია პოლიეთილენის პარკების ღია სივრცეებში (საძოვრები) მოხვედრა. მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სოფლების გაზიფიცირება. სასმელი წყალი ზაფხულის პერიოდში ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან გვალვის პერიოდში მცირდება წყლის რესურსი. რეაბილიტაციას საჭიროებს სარწყავი/საირიგაციო სისტემა. ქალაქში დგას ცენტრალური კანალიზაციის სისტემის არარსებობით გამოწვეული პრობლემა.

სოფლებში მწირია ხელმისაწვდომობა აფთიაქზე, სასურსათო მაღაზიებზე, რის გამოც მოსახლეობას გადაადგილება უწევს ადმინისტრაციულ ცენტრამდე ან უახლოეს ქალაქებამდე. აღნიშნული სერვისების ადგილზე არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გამოიკვეთა პანდემიიდან გამომდინარე გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების დროს, როცა მოსახლეობას უჭირდა მისთვის სასურველი და საჭირო ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქტების თავისუფლად შეძენა. საბანკო მომსახურეობა ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომელთა რიცხვი მზარდია, თუმცა ადგილზე არ არსებობს მუნიციპალური თავშესაფარი ცხოველებისთვის.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, პანდუსები ხშირად არ შეესაბამება სტანდარტებს. მოუწესრიგებელია ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარები.

მუნიციპალიტეტში წესრიგდება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურა. ხდება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, თუმცა არ არის მოწესრიგებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გარეთა სივრცეები, მოედნები.

ბაღები მუდმივად ახდენენ სასმელი წყლის შემოწმებას და როგორც ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას აღინიშნა წყალი სასმელად ვარგისია.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კერძო მიკროავტობუსებით გადაადგილდება, რომლებიც არ არის ყველა სოფლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი. არის სოფლები (მაღალმთიანი) სადაც ტრანსპორტი მხოლოდ კვირაში ერთხელ (ბაზრის დღეს) მოძრაობს, რაც მოქალაქეთა აზრით არასაკმარისია. ტრანსპორტი არ არის მორგებული შშმ პირების საჭიროებებს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: რესპოდენტების თქმით , ადგილზე დგას ინტერნეტთან ხელმიუწვდომლობის პრობლემა. ინტერნეტი ყველა სოფელს არ ფარავს. ბავშვებსა და სტუდენტებში შესამჩნევი იყო შესაბამისი ტექნიკის არ ქონის პრობლემა, რის გამოც უჭირდათ ინტერნეტთან წვდომა და ონლაინ სასწავლო პროცესებში ჩართვა. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზია. მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია სოფლის წარმომადგენლების, მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება. თუმცა, ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლების მიერ არასათანადო ინფორმირებულობა ერთ-ერთ მწვავე გამოწვევად დასახელდა. *„ხალხი მოწყურებულია ინფორმაციას, მათთან მეტი პირდაპირი კომუნიკაციაა საჭირო ",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის, ისევე როგორც უზრუნველყოფილია შშმ ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ონლაინ სასწავლო პროცესში შეფერხებები უფრო პირველ ეტაპზე იყო შესამჩნევი. 2021 წლის იანვრიდან პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა შეღავათიანი ინტერნეტ პაკეტები.

მუნიციპალიტეტში არ არის ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება მსურველებისთვის, რადგან არ არსებობს თავად პროფესიული სასწავლებელი, ამიტომ პროფესიული გადამზადების სურვილის შემთხვევაში ვანის მაცხოვრებელს სხვა მუნიციპალიტეტში უწევს გამგზავრება, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე ბიბლიოთეკა, თუმცა მათ მომსახურებაზე მოთხოვნა ნაკლებია.

მერიის დაფინანსებით კულტურულ - საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებები ფუნქციონირებს, სადაც ბავშვებისთვის სხვადასხვა წრეებია ხელმისაწვდომი, თუმცა ამ წრეებით ძირითადად ქალაქ ვანში ან ახლოს მდებარე სოფლებში მცხოვრები მოზარდები სარგებლობენ. სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის ძირითადად ქართული ცეკვის წრეებია ხელმისაწვდომი. მუნიციპალიტეტი აქტიურად უჭერს მხარს მოზარდებში/ ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. მოსახლეობის სურვილია გარეთა ტრენაჟორების დამონტაჟება. მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი ბავშვებისთვის კეთილმოწყობილი მოედნები ან გასართობი ცენტრები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობა და კეთილმოწყობა მეტნაკლებად ხდება. განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებიც ტურისტულად მიმზიდველია.

კულტურული და სპორტული აქტივობები ახალგაზრდების მონაწილეობით ძირითადად ზაფხულობით ან სადღესასწაულო დღეებში ტარდება.

ადგილზე არის თეატრი, სადაც კოვიდამდე კულტურული ღონისძიებები ტარდებოდა. რეაბილიტაციას საჭიროებს თეატრის დამხმარე ოთახები. ადგილზე ფუნქციონირებს არქეოლოგიური მუზეუმი.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები : როგორც ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ვანში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები დანერგილია, თუმცა მოქალაქეები აქტიურად არ იყენებენ მათ. ხშირად ამის მიზეზი მათი ნაკლები ინფორმირებულობაა.

სოფლის კრებები ძირითადად სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ტარდება, თუმცა მოსახლეობის 20% ჩართულობის უზრუნველყოფა რთულია, ადგილზე მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის არ ყოფნის გამო. მოქალაქეები ნაკლებად მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. იშვიათად ესწრებიან საკრებულოს სხდომებს. მუნიციპალიტეტს არ აქვს მოქალაქეთა ჩართულობის წამახალისებელი მექანიზმები შემუშავებული. მნიშვნელოვან საკითხად გამოიკვეთა მრჩეველთა საბჭოს გაძლიერება. ვანის მერიას შემუშავებული აქვს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე ბიუჯეტით გათვალისწინებულია ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება, თუმცა ინფორმაცია ამის შესახებ ახალგაზრდებში ნაკლებია. გამოიკვეთა მერის წარმომადგენლების კვალიფიციურობის საკითხი.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები: ვანის მუნიციპალიტეტში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიწოდებას მერიის სოციალური სამსახური და სოციალური მომსახურეობის სააგენტო ახორციელებენ. მერიის სოციალური პროგრამები ძირითადად ფულად გასაცემელს მოიცავს. პროგრამების უმრავლესობა სოციალურად დაუცველობის ქულასთანაა დაკავშირებული. დახმარების მიღმა არიან დარჩენილი ის მოქალაქეები, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში არ არიან დარეგისტრირებული, თუმცა არც საკმარისი შემოსავალი გააჩნიათ. ასეთი ოჯახები ძირითადად პანდემიის შედეგად გაჩნდა. მუნიციპალიტეტი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შემუშავებას შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ახდენს.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მერიას გააჩნია მედიკამენტებისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევების, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი. ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. სოფლის ამბულატორია არ არის წარმოდგენილი ყველა თემში. ამბულატორიებში ექიმი ყოველდღიურად არ არის ხელმისაწვდომი. მუნიციპალიტეტში ადგილზე შესამჩნევია ვიწრო სპეციალობის სამედიცინო კადრის დეფიციტი. არ არის ტრავმატოლოგი, ქირურგი, არ არსებობს სამშობიარო ბლოკი. ვანში არის სტომატოლოგიური კაბინეტი, თუმცა არასაკმარისადაა აღჭურვილი.

სოციალური საკითხები და სერვისები: მუნიციპალიტეტში, მერიის ბიუჯეტით უზრუნველყოფილია შეჭირვებული მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა ყოველდღიურად, თუმცა აღნიშნული სერვისი ხელმიუწვდომელია სოფლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, არ ხდება მათთვის საკვების ადგილზე მიწოდება.

აუცილებელია მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი (და არამარტო 4 შვილიანის, არამედ 3 შვილიანი ოჯახების) ოჯახების გაძლიერებაზე მიმართული პროგრამების დანერგვა, რომელიც დღეს მუნიციპალიტეტში შემუშავებული არ არის.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია თავშესაფრის არ მქონე პირთა ქირით უზრუნველყოფა.

დისკუსიების მსვლელობისას აღინიშნა, რომ მზარდია მეტადონის პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა, თუმცა ადგილზე არ არის შემუშავებული და დანერგილი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რესოციალიზაცია/რეინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამები.

ჩამოყალიბებულია ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც საჭიროებს მხარდაჭერას, რათა დროულად შეიმუშაოს და დანერგოს ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე მიმართული პროგრამები.

ვანში ფუნქციონირებს შშმ პირთა დღის ცენტრი, რომელსაც ფინანსურ მხარდაჭერას უწევს მუნიციპალიტეტი. დღის ცენტრში არ არის ხელმისაწვდომი 18 წელს ზემოთ პირთათვის სერვისები. 18 წლამდე ბავშვებისთვის კი ასევე ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველა ის აუცილებელი სარეაბილიტაციო სერვისი, რომელიც მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. აუცილებელია ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის ხელმისაწვდომობის გაზრდა. სერვისების მისაღებად მშობლებს შშმ ბავშვები ქუთაისში, თბილისში ან ზესტაფონში დაჰყავთ, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ადგილზე არ არის ხანდაზმულთა დღის ცენტრი. არ არის დანერგილი შინ მოვლის სერვისი. *"ჩვენთან ბევრი ისეთი მოსახლეა, რომელიც მარტოხელაა, სოციალურად შეჭირვებულია, კარგი იქნებოდა მათთვის ვანში რომ არსებობდეს შინ მოვლის სერვისი, ასევე არაერთი წელია ძალიან გვინდა ვანში გაიხსნას სოციალური სამრეცხაო",* აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეთათვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭება. *„ბევრს უსამართლოდ მოეხსნა სოციალურად დაუცველობის სტატუსი და დახმარება, ეს შეფასების სისტემა აუცილებლად გადასახედია. მან ოჯახები კიდევ უფრო კი არ უნდა გააღარიბოს და დამოკიდებული გახადოს დახმარებაზე, არამედ პირიქით* ",აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- ხელი შეეწყოს ადგილზე სასოფლო სამეურნეო ტექნიკის პარკის განახლებას.

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბიზნეს განაცხადის წერა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და ადგენდეს საჭიროებებს;
- ხელი შეუწყოს სოფლის ამბულატორიების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში პროფესიული სასწავლებლის გახსნას და სოფლის მეურნეობის პროფესიების შესწავლას.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით; პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი .

5.საბიუჯეტო პროგრამა ვანის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	*მრავალშვილიანი და კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების გაძლიერების პროგრამა*	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			30 000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	**მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური**			
წინაპირობა	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ ვანში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოვლინდა, რომ ადგილზე არიან მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც სოციალურად დაუცველ, მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, დაუსაქმებლობა (ან სეზონური სამუშაო) ის გამოწვევებია, რომელთანაც გამკლავება ყოველდღიურად უწევთ ამ ოჯახებს. პანდემიის შედეგად მსგავსი ოჯახების მდგომარეობა უფრო მეტად არახელსაყრელი გახდა. მათი უმეტესობა ძირითადად სახელმწიფო დახმარებაზეა დამოკიდებული და მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარება მათ წინაშე მდგარ გამოწვევას მხოლოდ იმწუთიერად აგვარებს. ამიტომ მნიშვნელოვანია შეიქმნას მსგავსი ოჯახების გაძლიერების პროგრამა.			
პროგრამის ბენეფიციარები	ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000) და კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახები, სადაც იზრდებიან არასრულწლოვანი ბავშვები.			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	**მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების, ან არსებულის გაფართოება გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა** პროგრამა გულისხმობს ვანში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მრავალშვილიანი და კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების გაძლიერებას, რომლებსაც აქვთ სურვილი, ან უკვე ეწევიან მიკრო, ან მცირე მეწარმეობას. პროექტების დაფინანსება მოხდება ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. მოხდება ბიზნესგეგმის განხილვა და მისი შეფასება მოქალაქის განცხადების საფუძველზე. საქმის განხილვას დაიწყებს სოციალურ საკითხთა დაცვის სამსახური. საკითხის შესწავლის შემდეგ განაცხადს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება			

	შემდეგი წარმომადგენლობით: ვანის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; სოციალურ საკითხთა სამსახური; საფინანსო სამსახური; იურიდიული განყოფილება; სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი და სხვა. პროექტები შეფასდება სოციალური სამსახურის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად.			
პროგრამის შედეგი	გაუმჯობესებულია მოწყვლადი მრავალშვილიანი და კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობა, მათი დასაქმების ხელშეწყობის გზით.			
შესრულების ინდიკატორი განხორციელებული პროექტები	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	6 პროექტი	8 პროექტი	10 პროექტი
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	სოციალურ საკითხთა დაცვის სამსახური/ შიდა აუდიტის სამსახური			
რისკები	ნაკლები მომართვიანობა			

6.სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ?	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	5. ინფასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები?	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურეობა? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას? 14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?	
განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა	15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისწვდომი? თუ არის საგანამანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული? 116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვომია? 17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?	განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები:კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო;სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.
ძირითადი სერვისები და პროგრამები	18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში? 19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?	ყურადღების გამახველება პრგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.
Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები	20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად? 21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში? 22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?	ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.
რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის	23.რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? 24.რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.